საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

ოქმი

თარიღი: 27 დეკემბერი, 2023 წელი
დრო: 18:00 - 20:00
შეხვედრის ადგილი: Zoom

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - (პლატფორმის თანათავმჯდომარე), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ეკა ციმაკურიძე - (საბჭოს წევრი), დემოკრატიის ინდექსი საქართველო;
3. ნინო ელიზბარაშვილი (საბჭოს წევრი), ასოციაცია ქალი და ბიზნესი;
4. ნუკრი ყველაშვილი ((საბჭოს წევრი), ახალგაზრდული ალტერნატივა;
5. მაკა ჯახუა (საბჭოს წევრი), ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა;
6. ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს წევრი), სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“;
7. ირინა ფუტკარაძე (საბჭოს წევრი), საზოგადოებრივი დამცველი.

რეგისტრაციის შედეგად საკოორდინაციო საბჭოს 12 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 7.
საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების 10.3 მუხლის თანახმად საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

დღის წესრიგი

1. 2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდებაში გარდამავალი მუხლების 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 განხილვა-დამტკიცება;
2. თანათავმჯდომარის უჩა ნანუაშვილის მიერ პლატფორმის მიმართ გამოგზავნილი წერილის განხილვა;
3. საპარლამენტო მდივნის საკითხის განხილვა და არჩევა;
4. 2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და ახალი რედაქციის შემუშავების კომისიის შექმნა.

1. **2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდებაში გარდამავალი მუხლების 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 განხილვა-დამტკიცება;**

საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს დაევალა გაასწოროს წედებაში გაჩენილი ის შეუთავსებლობები, რომელიც შესაძლოა წესდების სხვა მუხლებთან თანათავმჯდომარეების პოზიციის დამტკიცების საფუძველზე წარმოიშვა. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა შეიმუშავეს ცვლილებების პაკეტი, რომელიც 22 დეკემბერს ჩატარებულ საბჭოს შეხვედრაზე წარმოადგინა მესამე ჯგუფის კოორდინატორმა,

მოისმინეს: ნუგზარ კოხრეიძის (მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი) წარდგინება თანაკოორდინატორების: რაისა ლიპარტელიანის (მეხუთე სამუშაო ჯგუფი); ნუკრი ყველაშვილის (მეოთხე სამუშაო ჯგუფის); ირინა ფუტკარაძის (მეხუთე სამუშაო ჯგუფის) მიერ 2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდებაში გარდამავალი მუხლების: 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 პროექტი. დოკუმენტი ღია იყო კომენტარებისა და ცვლილებებისთვის და Google Doc-ის საშუალებით გაზიარებული იყო საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

მოსაზრებები გამოთქვეს: ნინო ჩხობაძე, ირინა ფუტკარაძე, ნუკრი ყველაშვილი, ნინო ელიზბარაშვილი, ეკა ციმაკურიძე, მაკა ჯახუა.

წესდების მუხლებთან მიმართებით განსხვავებული აზრი არ გამოთხმულა.

წესდებაში შესატან ცვლილებებს ეყარა კენჭი:

საბჭოს წევრთა სიითი რაოდენობა: 12
ესწრებოდა: 7 წევრი
მომხრე: 7 წევრი

წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი.

დადგინდა: 2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდებაში გარდამავალი მუხლების 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 დამტკიცებულია წარმოდგენილი რედაქციით.

2. **თანათავმჯდომარის უჩა ნანუაშვილის მიერ პლატფორმის მიმართ გამოგზავნილი წერილის განხილვა;**

მოისმინეს: ნინო ჩხობაძის (პლატფორმის თანათავმჯდომარის) ინფორმაცია, რომ თანათავმჯდომარემ უჩა ნანუაშვილმა პლატფორმას გამოუგზავნა წერილი.

მოსაზრებები გამოთქვეს:

ნუგზარ კოხრეიძე (მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): მიაწოდა ინფორმაცია საბჭოს, რომ მან და ეკა ციმაკურიძემ დაიწყეს სამართლებრივი არგუმენტების მომზადდება აღნიშნულ წერილზე, რადგან ის მრავალ უზუსტობას და შეცდომებს შეიცავს. მიმართა საბჭოს თხოვნით და წამოაყენა წინადადება, რომ მომზადებული წერილი, საბჭოს მიერ გაცნობის შემდეგ, გაგზავნილი იქნას საკოორდინაციო საბჭოს სახელით.

განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

თანათავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

საბჭოს წევრთა სიითი რაოდენობა: 12
ესწრებოდა: 7 წევრი
მომხრე: 7 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი.

დადგინდა: საპასუხო სამართლებრივი ახსნა-განმარტებითი წერილი, საბჭოს წევრების გაცნობის შემდეგ გაიგზავნოს პლატფორმაში საკოორდინაციო საბჭოს სახელით.

მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს:

ნუკრი ყველაშვილი (მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): საინტერესოდ მიიჩნევს, რომ საკოორდინაციო საბჭო პასუხს სცემს წერილს, რომელიც წარმოადგინა ამავე საბჭოს თანათავმჯდომარემ.

ნუგზარ კოხრეიძე (მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): მიიჩნევს, რომ

თანათავმჯდომარის მხრიდან მსგავსი ქმედება, რომელიც შეუთანხმებელია მეორე თანათავმჯდომარესთან და შეუთანხმებელია საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან და გამოქვეყნებულია მისი სახელით არ არის სწორი ქმედება და დარღვევაა კრებაზე მიღებული შეთანხმების.

3. **საპარლამენტო მდივნის საკითხის განხილვა და არჩევა;**

მოისმინეს: ნუგზარ კოხრეიძის (მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი) მიერ გამოთქმული შეხსენება, რომ წინა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული საბჭოს სხდომა აირჩევს საპარლამენტო მდივანს და სურვილი საპარლამენტო მდივნის პოზიციის დაკავებაზე გამოთქვა ირინა ფუკტკარაძემ.

გაიმართა მსჯელობა:

ნინო ჩხობაძე (პლატფორმის თანათავმჯდომარე): მიაწოდა ინფორმაცია, რომ პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ეროვნულმა პლატფორმა უნდა წარადგინოს საპარლამენტო მდივანი, რომელიც ტექნიკურად უზრუნველყოფს კანონპროექტების გაზიარებას პარლამენტსა და ეროვნულ პლატფორმას შორის.

ირინა ფუტკარაძე (მეხუთე სამუშაო ჯგუფის თანაკოოორდინატორი): გამოთქვა ხედვა, რომ საპარლამენტო მდივანი ამ ეტაპზე უნდა შემოიფარგლოს კანონპროექტების მიწოდებით პლატფორმისთვის, რომელიც გამოიგზავნება პარლამენტიდან, ასევე პლატფორმის წევრების მიერ შმუშავებული კანონპროექტების დარეგისტრებაში დახმარება პარლამენტში.

ნუგზარ კოხრეიძე (მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): შესთავაზა საბჭოს აერჩიათ საპარლამენტო მდივანი და არჩეული პირი შეიმუშავებს ეგრეწოდებულ Term of Reference, რომელსაც შემდეგ საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს.

გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები:

ეკა ციმაკურიძე (პირველი სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): მიაჩნია, რომ ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს კონცეფცია, რა ფუნქციები და მოვალეობები ეკისრება საპარლამენტო მდივანს და ამის შემდეგ მოხდეს პოზიციაზე კანდიდატის არჩევა. „მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა გვინდა მივიღოთ ამ პოზიციით 1 წლის შემდეგ. ისე უნდა ავირჩიოთ საპარლამენტო მდივანი, რომ ამ პროცესმა დამატებითი კითხვები არ გააჩინოს“.

ნინო ჩხობაძე (პლატფორმის თანათავმჯდომარე): მოკლედ ჩამოაყალიბა ის ძირითადი ფუნქციები, რომელიც უნდა იქნას მოაზრებული საპარლამენტო მდივნისთვის. კერძოდ, მდივანმა უნდა უზრუნველყოს კომიტეტებთან ურთიერთობების წარმოება, განხილვებში

უნდა მიიღოს მონაწილეობა, აქტიურად უნდა იყოს ჩართული საპარლამენტო ბიუროს მუშაობაში, ზოგადად სტანდარტი უნდა იყოს აღებული იმ არსებული პრაქტიკებიდან, რომელიც უკვე ფუნქციონირებს. ასევე თანათამვჯდომარემ შესთავაზა საბჭოს პირველ რიგში გადაწყვიტოს ეთანხმებიან თუ არა, რომ საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს დაევალოს საპარლამენტო მდივნის ფუნქციების შესრულება.

განსხვავებული მოსაზრებები თანათავმჯდომარის მიერ წამოყენებულ საკითხთან მიმართებით არ გამოთქმულა.

წინადადებას ეყარა კენჭი:

საბჭოს წევრთა სიითი რაოდენობა: 12
ესწრებოდა: 7 წევრი
მომხრე: 7 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი.

დადგინდა: საპარლამენტო მდივნის ფუნქცია შეასრულოს საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა.

მოსაზრებები გამოთქვეს: ნინო ჩხობაძე, ირინა ფუტკარაძე, ნუკრი ყველაშვილი,ეკა ციმაკურიძე, მაკა ჯახუა.

ნინო ელიზბარაშვილი (მეორე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი კოორდინატორმა): კენჭისყრაზე დააყენა კანდიდატის არჩევნის საკითხი. მან საპარლამენტო მდივნის პოზიციაზე წარადგინა მეხუთე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი, ირინა ფუტკარაძე. ასევე დააზუსტა, რომ კანდიდატის არჩევის შემდეგ აუცილებელია გაიწეროს მისი ძირითადი ფუნქციები.

ირინა ფუტკარაძის კანდიდატურას საპარლამენტო მდივნის პოზიციაზე ეყარა კენჭი:

საბჭოს წევრთა სიითი რაოდენობა: 12
ესწრებოდა: 7 წევრი
მომხრე: 6 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 1 წევრი.

დადგინდა: საპარლამენტო მდივნის ფუნქცია-მოვალეობებს შეასრულებს მეხუთე სამუშაო ჯგუფის თაკოორდინატორი ირინა ფუტკარაძე. ასევე, ირინა ფუტკარაძე შეიმუშავებს საპარლამენტო მდივნის ტექნიკურ დავალებას და საკოორდინაციო საბჭოს განსახილველად წარუდგენს.

დამატებითი საკითხი:

მოისმინეს: ქეთევან ჭურაძის (საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს წარმომადგენელი) ინფორმაცია დავების განმხილველ ორგანოში მესამე კანდიდატის არჩევის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ელექტრონული წილისყრის პროცედურის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, წილისყრის პროცედურაში მონაწილე პლატფორმის წევრთა 65%-მა მხარი დაუჭირა ლია ნადარაიას კანდიდატურას, დავების განმხილველი ორგანოს მესამე წევრად.

ნინო ჩხობაძე (პლატფორმის თანათავმჯდომარე): სთხოვა სამდივნოს გაავრცელებიათ ინფორმაცია შედეგების თაობაზე პლატფორმის წევრებისთვის.

4. **2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და ახალი რედაქციის შემუშავების კომისიის შექმნა.**

მოისმინეს: ნუგზარ კოხრეიძის (მესამე სამუშაო ჯგუფის) საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების ტექსტის პროექტი.

მოსაზრებები გამოთქვეს: ნინო ჩხობაძე, ირინა ფუტკარაძე, ნუკრი ყველაშვილი, ნინო ელიზბარაშვილი, ეკა ციმაკურიძე, მაკა ჯახუა.

საბჭოს წევრებმა მცირედი ტექნიკური ცვლილებები შეიტანეს ტექსტში.

კენჭი ეყარა საკოორდინაციო საბჭოს დადგენილებას წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და ახალი რედაქციის შექმნის შემდეგ რედაქციას:

1. წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და ახალი რედაქციის შექმნის თაობაზე ჩამოყალიბდეს დროებითი კომისია.
2. საკოორდინაციო საბჭო რეკომენდაციას უწევს იდეის ინიციატორს ბატონ ვახტანგ ზარქუას უხელმძღვანელოს დროებით კომისიას მისი თანხმობის შემთხვევაში.
3. დროებითმა კომისიამ პირველსავე სხდომაზე შეიმუშავოს დებულება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად, პროცესის გამჭვირვალობის, ჩართულობის, ღიაობის, ინკლუზიურობის, მონაწილეობის პრინციპების დაცვით და წარუდგინოს სააკოორდინაციო საბჭოს დასამტკიცებლად კომისიის ჩამოყალიბებიდან ერთი თვის ვადაში.
4. დროებითი კომისია დაკომპლექტდეს თითოეული სამუშაო ჯგუფიდან 3 წარმომადგენლით, სამუშაო ჯგუფების შეხვედრაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ასევე, მასში ჩაერთოს დავების კომისიის წევრები სურვილისამებრ სათათბირო ხმის უფლებით.
5. დროებითმა კომისიამ განახორციელოს არსებული წესდების მონიტორინგი,

შეფასება და მისი შეთავსება პლატფორმის სხვა დოკუმენტებთან, დამკვიდრებულ პრაქტიკებთან და შეიმუშაოს წესდების ახალი რედაქცია პლატფორმის წევრთა, სამუშაო ჯგუფების ფართო ჩართულობით.

6. წარუდგინოს საკოორდინაციო საბჭოს განსახილველად არაუგვიანეს 2 თვით ადრე საკოორდინაციო საბჭოს მიერ წლის ბოლოს დანიშნულ გეგმიურ საერთო კრებამდე. საჭიროებისამებრ მოამზადოს ინიციატივები და რეკომენდაციები პლატფორმის სხვა დოკუმენტებში (ეთიკის კოდექსი, დებულებები, საარჩევნო პროცედურები). იმავე პრონციპების გათვალისწინებით იმსჯელოს პლატფორმასთან და იმავე ვადებში რაც წესდების ახალი რედაქციაა წარუდგინოს საკოორდინაციო საბჭოს დასამტკიცებლად.

საბჭოს წევრთა სიითი რაოდენობა: 12
ესწრებოდა: 7 წევრი
მომხრე: 7 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი.

დადგინდა: შეიქმნას წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და ახალი რედაქციის შექმნის დროებითი კომისია და გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს პლატფორმას.

შეხვედრა დასრულებულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ჩხობაძე
პლატფორმის თანათავმჯდომარე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე